ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №10

ქ. ლანჩხუთი

08.12.2022.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, გიორგი ჩახვაძე და გიორგი გოგუაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე **ლევან ჩხაიძე.**

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უკრაინაში დაღუპულ ჯამბულათ ხოფერიას ხსოვნას.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

3. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 01 დეკემბრის N04-03/109733 წერილის თანახმად გაიზარდა დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა 250000 ლარით და განისაზღვრა 10360000 ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის შესრულების მიმდინარეობის ანალიზის შედეგად მიზანშეწონილია განხორციელდეს კორექტირება

კერძოდ: გაიზარდოს სანებართვო მოსაკრებლის გეგმა 198500 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა 85000 ლარით, აღნიშნული შემოსავლების 533500 ლარით ზრდის ხარჯზე შემცირდეს ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან შემოსავალი 488845 ლარით და 44655 მიიმართოს ბიუჯეტში დამატებით გასაწევი ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფაზე.

როლანდ ლაშხიამ დეტალურად ისაუბრა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N131 განკარგულებაში, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 ნოემბრის N2122 განკარგულებით შეტანილი ცვლილებებით; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად დამატებით გამოეყო 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი, რომელიც უნდა მიიმართოს გზებისა და ხიდების რეაბილიტაციაზე 454425 ლარი, ნაპირსამაგრის მოწყობა რეაბილიტაციაზე 545575 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 ოქტომბრის N1932 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში კერძოდ: შემცირდა გზის რეაბილიტაციაზე გამოყოფილი თანხა 55758 ლარით მათ შორის, ცენტრალური დაფინანსება 52971 ლარი. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია 1167 ლარით მათ შორის, ცენტრალური 1109 ლარი, ჯიხეთის დედათა მონასტრის ტერიტორიის ელექტროფიცირების სამუშაოები 4536 ლარით მათ შორის, ცენტრალური 4536 ლარი.

სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის რეაბილიტაციაზე მიიმართოს 74953,05 ლარი, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის N325 განკარგულება და 2021 წლის 11 მარტის N330 განკარგულება.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 14 იანვრის N51 განკარგულების საფუძველზე საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსება გაიზარდოს 254586,40 ლარით.

საბიუჯეტო დაწესებულებიდან შემოსული განაცხადების განხილვის შედეგად უნდა განხორციელდეს ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 73200 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის 45000 ლარის შემცირება და 30000 ლარის დამატებით გამოყოფის ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 148200 ლარით.

ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებას გაეზარდოს დაფინანსება საქონელი და მომსახურების მუხლში 6500 ლარით

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების სხვა ხარჯების მუხლის 32000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს 32000 ლარით საქონელი და მომსახურების მუხლი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის შრომის ანაზღაურების მუხლის 690 ლარით შემცირების ხარჯზე 690 ლარით გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი.(სპორტული ღონისძიებები) ასევე დამატებით გამოეყოს საქონელი და მომსახურების მუხლში 4000 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს გაეზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 3000 ლარით.

სამსახურის წინადადების საფუძველზე სპორტის ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების 2619 ლარით, კულტურის ხელშეწყობის 2450 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს განათლების ხელშეწყობის სხვა ხარჯების მუხლი 1000 ლარით და სპორტის ხელშეწყობის სხვა ხარჯების მუხლი 4069 ლარით.

ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 4000 ლარით.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის განაცხადის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების (ორგ. კოდი 02 07) საქონელი და მომსახურების ხარჯი შემცირდეს 2450 ლარით, დასუფთავება და ნარჩენების გატანა (ორგ. კოდი 03 01) საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდეს 24000 ლარით, წყლის სისტემების ექსპლოატაცია (ორგ. კოდი 02 02 02) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 3700 ლარით, საქონელი და მომსახურება 4450 ლარით, არაფინანსური აქტივები 450 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა (ორგ. კოდი 03 02) შემცირდეს საქონელი და მომსახურება 2650 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიების (ორგ. კოდი 02 06 03) შემცირდეს 3550

ლარით. აღნიშნული შემცირებების ხარჯზე გაიზარდოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა (ორგ. კოდი 03 01) შრომის ანაზღაურების მუხლი 4000 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (ორგ. კოდი 02 03 01 01) საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 20000 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა განვითარება (ორგ. კოდი 03 02) შრომის ანაზღაურების მუხლი გაიზარდოს 850 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიების (ორგ. კოდი 02 06 03) საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდოს 16400 ლარით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის განაცხადის საფუძველზე „შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 16) 800(რვაასი) ლარით, „მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 15) 5000 (ხუთიათასი)ლარით, „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 18) 2000 (ორიათასი) ლარით, „მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის “(პროგრამის კოდი 06 02 20) 4000 (ოთხიათასი) ლარით, „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 02) 2360 (ორიათასსამასსამოცი) ლარით, „ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 08) 400 (ოთხასი) ლარით, „ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის“(პროგრამის კოდი 06 02 01) 3360(სამიათასსამასსამოცი) ლარით, „იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 07) 1000 (ათასი) ლარით, „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის (პროგრამის კოდი 06 02 23) 4000(ოთხიათასი) ლარით, „კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამის (პროგრამის კოდი 06 02 24) 1172 (თერთმეტიათას შვიდასოცდაცხრა) ლარით შემცირების ხარჯზე 2350 (ორიათასსამასორმოცდაათი ლარით გაიზარდოს „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა“(პროგრამის კოდი 06 02 09), 2400 (ორიათასოთხასი) ლარით „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა”(პროგრამის კოდი 06 02 17), 100 (ასი) ლარით „0-დან 18 წლამდე დედმამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა“ (პროგრამის კოდი 06 02 21), 8000 (რვაათასი) ლარით „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“ (პროგრამის კოდი 06 02 03); 9799 (ცხრა ათას შვიდაოთხმოცდაცხრამეტი) ლარით „მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა“ (პროგრამის კოდი 06 02 12); 12000 (თორმეტიათასი) ლარით „ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა“ (პროგრამის კოდი 06 02 14) კერძოდ თანხა მიიმართოს „სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენად სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის ქვეპროგრამაზე“.

ლევან ჩხაიძემ აღნიშნა, რომ სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულება იგეგმება 7-8 ადმინისტრაციულ ერთეულში. ინფრასტრუქტურული პროექტები მოიცავს ხიდების, მილხიდებისა და ნაპირსამაგრების მოწყობას.

ალექსანდრე მახათაძემ მიმართა ლევან ჩხაიძეს, რომ 9 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარმოდგენილი იყოს სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციო პროექტების სრული ჩამონათვალი.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-5, წინააღმდეგი-(არცერთი).

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან დეტალურად ისაუბრა ყველა იმ საკითხზე, რომელიც მომავალ წელს სამუშაო გეგმით იყო გათვალისწინებული.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა მოსმენილი და გაზიარებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხვადასხვა

- **გიორგი გოგუაძემ გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ საკრებულოს ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე გამოქვეყნებული იყო უკრაინის ომში დაღუპული ლანჩხუთელი ვაჟკაცის, ჯამბულათ ხოფერიას ოჯახის სამძიმრის წერილი, რომელიც მალევე წაიშალა. დეპუტატმა აღნიშნა, რომ პროტესტის ნიშნად ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ნებისმიერი აქტივობა არ იქნას გამოქვეყნებული საკრებულოს ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე.**

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი

08.12.2022 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №10

2022 წლის 8 დეკემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმა მოსმენილი და გაზიარებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

08.12.2022 წელი
15:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	14 50	
2	ია მოქია	14 50	
3	გიორგი ჩახვაძე	15 00	
4	სპარტაკ კვაჭაძე	15 00	
5	კახა თედორაძე	არ ესწრებოდა	
6	ვლადიმერ ნანაძე	არ ესწრებოდა	
7	გიორგი გოგუაძე	14 55	
8	ჯუმბერ ბლაგიძე	არ ესწრებოდა	